საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი ივნისი 2024 / გამოცემა #74

ჰააგიდან თბილისამდე: ევროკავშირის გაფართოების მიმართ ნიდერლანდების სამეფოს დამოკიდებულება საქართველოს კონტექსტში

დ. მ. (დაან) ვან დალენ[1]

2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები მწვავე გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ გამოწვევების საპასუხოდ, ევროკავშირში გაჩნდა ერთიანობისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაძლიერების საჭიროება. იმისათვის, რომ ნიდერლანდები ამ ერთიანობის ნაწილი ყოფილიყო, მას უფრო მკაფიო ნარატივი უნდა ჩამოეყალიბებინა აღმოსავლეთ ევროპისა და ევროკავშირის მომავლის შესახებ. ამავდროულად, აღმოსავლეთ პარტნიორობის(EaP) ფარგლებში მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად ასოცირებული ტრიოს წევრობამ, საქართველოსთვის შექმნა ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების მოსაპოვებელი იმპულსი, რამაც 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება გამოიწვია.

საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიმავალი გზა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. ნიდერლანდებს, როგორც ევროკავშირის დამფუძნებელ წევრს მნიშვნელოვანი ეკონომიკით, შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ამ პროცესში. თუმცა, ნიდერლანდებს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე, რეალურად, იმაზე ნაკლებ გავლენას ფლობს, ვიფრე ამას თავად აღიარებს (Janning 2019). გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, ბოლო ათწლეულის

[1] დაან ვან დალენი ამსტერდამის უნივერსიტეტიდან ბაკალავრის ხარისხს ფლობს ქიმიაში და ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტიდან მაინორს პოლიტიკის მეცნიერებაში. აჟამად, ის განათლების მიღებას ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე აგრძელებს.

განმავლობაში, იცვლება ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკაც, განსაკუთრებით ევროკავშირის გაფართოებასთან და აღმოსავლეთ-ევროპასთან დაკავშირებით. თუმცა, ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა ძვრებმა, მათ შორის 2023 წლის ჰოლანდიის არჩევნებში გეერტ ვილდერსის ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე „პარტია თავისუფლებისთვის“(PVV) გამარჯვებამ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მომავალთან დაკავშირებით გაურკვევლობა გამოიწვია. წინამდებარე პოლიტიკის მემორანდუმი განიხილავს ევროკავშირის გაფართოების საკითხის ირგვლივ ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის განვითარებას და იმას, თუ როგორ ჩამოაყალიბა/აყალიბებს აღნიშნული პროცესები ნიდერლანდ-საქართველოს ურთიერთობებს.

ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები (2010 წლიდან დღემდე)

ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკა, ტრადიციულად, პირველ რიგში, საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გატარებაზეა ფოკუსირებული. ამის მაგალითია პრემიერ-მინისტრ მარკ რუტეს პარტიის - ,,სახალხო პარტია თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის“ (VVD) პოლიტიკა. მას შემდეგ, რაც რუტემ 2010 წელს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა, ევროკავშირს "უბრალოდ ბაზარი" უწოდა და ევროკავშირის ბიუჯეტში წვლილის შეტანას ზედმეტ ეკონომიურად დანაკარგად მიიჩნევდა (Baragazzi 2023). მაგრამ მაინც, სხვა პოლიტიკურ პარტიებს განსხვავებული ხედვები აქვთ ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის ფოკუსთან დაკავშირებით.

რეალურად, თუ მათ ხედვებს, როგორც განსხვავებულ საზღვრებს ისე დავაკვირდებით, გარდა სავაჭრო მიმართულებისა, ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის დისკურსში არის სულ მცირე ორი სხვადასხვა ძირითადი მიმართულება (Ter Haar 2017). ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა *გასვლისტები (Withdrawal),* რომელსაც ძირითადად მხარს ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე პარტიები უჭერენ. ეს პარტიები, როგორც წესი, ევროსკეპტიკოსები არიან და ეწინააღმდეგებიან იმიგრაციას, როგორიცაა ვილდერის PVV (Ross et al. 2023). მეორე მიმართულება - *ჩართულობაა*, რომელიც ემხრობა ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას და ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო(MFA) რეგიონული პარტნიორობის ფონდის (NFRP)/Matra პროგრამის მეშვეობით, აღმოსავლეთ ევროპისთვის აქტიური ჩართულობის პოლიტიკას ახორციელებს, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილ

კომუნისტურ ქვეყნებში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროს განვითარებისთვის დახმარების გაწევას (ნიდერლანდების სამეფოს გენერალური საქმეთა სამინისტრო 2024). ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეძლო საკუთარი კურსის გატარება ყოველდღიური პოლიტიკის მღელვარებისგან მოშორებით, რადგან მთავრობები, როგორც წესი, დაკოპლექტებულია ისეთი პარტიებისგან, რომლებიც საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებას მიჰყვებიან. შესაბამისად, ეს ევროკავშირისა და ზოგადად საგარეო პოლიტიკის შესახებ მკაფიო ნარატივის ნაკლებობას იწვევს.

ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით, რუტეს მთავრობებმა, დროთა განმავლობაში, თავიანთი არაოფიციალური სლოგანი „მკაცრი, მაგრამ სამართლიანი“ - „მკაცრი, სამართლიანი და ჩართული“-ით შეცვალეს (Zweers 2024). ნიდერლანდების ბოლო მთავრობები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ევროკავშირის მართვადობის შენარჩუნებაზე, რაც იწვევს ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით მათ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ქვეყნის ეს დამოკიდებულება ყოველთვის არ ყოფილა ისეთი კონსტრუქციული, როგორც მაშინ, როდესაც ნიდერლანდებმა დაბლოკა ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები ალბანეთთან 2019 წელს, რადგან ნიდერლანდების მთავრობა თვლიდა, რომ ალბანეთის პროგრესი არასაკმარისი იყო (Zweers 2019). უფრო მეტიც, ნიდერლანდების ევროკავშირისადმი დამოკიდებულება ხშირად განიხილება, როგორც ეგოცენტრული (Bosse 2023). „მკაცრის“ და „სამართლიანის“ გვერდით „ჩართულის“ დამატება სავარაუდოდ ნაკლებად კრიტიკულად ჩანდა და ეწინააღმდეგებოდა გაფართოებასაც. გარდა ამისა, რუტეს ბოლო ორი მთავრობის შემადგენლობაში პარტია - „დემოკრატები 66“ (D66)-ის არსებობამაც, სავარაუდოდ თავისი ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირის მიმართ ნაკლებად კრიტიკული ტონის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, შესაძლოა ტონი შეიცვალა, მაგრამ ნიდერლანდები კვლავ შეშფოთებას გამოხატავს გაერთიანების შემდგომი გაფართოების შესახებ.

ნიდერლანდების პოლიტიკა აღმოსავლეთის მიმართ: რუსეთი და აღმოსავლეთ პარტნიორობა

ნიდერლანდების *ოსტპოლიტიკის* განსაზღვრა რთულია, რადგან მას ისტორიული და ხალხური კავშირები აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებთან არ აკავშირებს (Zweers 2024). აღნიშნული რეგიონის ქვეყნებიდან, ნიდერლანდებთან ყველაზე ფართო ურთიერთობები

რუსეთს აკავშირებს, თუმცა არც ამ ურთიერთობებს ჩაუვლია აღმასვლებისა და დაღმასვლების გარეშე. მას შემდეგ, რაც 2007 წელს პუტინის ხელახალი არჩევის შემდეგ ქვეყანაში პროგრესის ალბათობამ დაიწია, რუსეთში NFRP/Matra პროგრამის დაფინანსება მკვეთრად შემცირდა, უფრო მეტიც, სამგზავრო რეისის MH-17-ის ჩამოგდებამ, რომელშიც ძირითადად ნიდერლანდების მოქალაქეები იმყოფებოდნენ, სერიოზულად დააზიანა ეკონომიკური და დიპლომატიური კავშირები ორ ქვეყანას შორის (Van Der Togt 2015). თუმცა, დროთა განმავლობაში, ყველაფერი ყოველთვის უბრუნდებოდა „ჩვეულ" რეჟიმს ნიდერლანდური კომპანიებისთვის რუსული ბაზრის მნიშვნელობის და, რაც მთავარია, მისი რუსულ გაზზე დამოკიდებულების გამო. აღნიშული დინამიკა ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკაში *ვაჭრობის* სფეროს დომინირების მთავარი მაგალითია.

ნიდერლანდების ურთიერთობები ევროკავშირის სხვა არაწევრ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, როგორიცაა ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, ძირითადად აღმოსავლეთ პარტნიორობის(EaP) ფარგლებში ჩამოყალიბდა. ქვეყნის მთავრობები EaP-ს მიიჩნევენ პოლიტიკური დაახლოების და ეკონომიკური კავშირების განმტკიცების ინსტრუმენტს და არა მაინცდამაინც როგორც ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ კარიბჭრეს - რაც ნათლად ასახავს ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მიმართ არსებულ თავშეკავებას (Deen et al. 2021). თუმცა, ირანის, ჩინეთისა და რუსეთის მსგავსი ქვეყნების ბოლოდროინდელმა მცდელობებმა, შეინარჩუნონ ან თუნდაც გააფართოვონ თავიანთი გავლენის სფეროები, ნიდერლანდების მთავრობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქვეყნები რომლებიც ევროკავშირის/დასავლეთის ქოლგის ქვეშ არ არიან, ადვილად შეიძლება ჩაიკარგონ ილიბერალიზმში. სწორედ ამიტომ, უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე წინა წლებმა აჩვენა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, 2017 წლიდან, ნიდერლანდების მთავრობა ნაკლებად კრიტიკულია და ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან კავშირების გაღრმავების გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2011- 2021).

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მკვეთრად შეცვალა ნიდერლანდების ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. რუსეთთან ურთიერთობები გაუარესდა, უკრაინასთან კი - აყვავდა. ამჟამად ნიდერლანდები უკრაინისთვის მეხუთე უდიდესი ორმხრივი დახმარების მიმწოდებელი ქვეყანაა და ვალდებულია ევროკავშირთან ერთად მისი მშპ-ს 1.5%-ით უკრაინის დახმარება უზრუნველყოს (IFW-Kiel z.d.). უფრო მეტიც, ნიდერლანდების მთავრობამ ახლახანს მოაწერა ხელი უკრაინასთან უსაფრთხოების ათწლიან ხელშეკრულებას, რათა მხარი დაუჭიროს მას მრავალ სფეროში, მათ შორის -

სამხედრო, ფინანსური, კიბერუსაფრთხოების და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2024). ამ შეთანხმებას მხარი დაუჭირა საპარლამენტო უმრავლესობამ, შეთანხმების მოწინააღმდეგე კი მხოლოდ ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე პარტიები იყვნენ(Tweede Kamer der Staten-Generaal 2024). ესენი ის *"გასვლისტი" (withdrawalist)* პარტიები, რომლებიც საზოგადოებაში არსებული ევროსკეპტიკური განწყობების გამოყენებით ევროკავშირ-უკრაინის ასოცირების შეთანხმების წინააღმდეგ აწარმოებდნენ კამპანიას 2016 წელს (იხ, ცხრილი 1) (Abts et al. 2016). რეფერენდუმზე დაბალი - 32,2%-იანი აქტივობა დაფიქსირდა, ხოლო ასოცირების შეთანხმების წინააღმდეგ ხმა მოსახლეობის 61,1%-მა მისცა. შესაბამისად, რეფერენდუმის შედეგების პატივსაცემად, ზოგიერთმა პარტიამ შეთანხმების წინააღმდეგ მისცა ხმა. დანაჩენები კი თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ. თუმცა, პრეზიდენტ ზელენსკის პროდასავლურმა პოზიციამ და რუსეთის აშკარა პასუხისმგებლობამ ომზე, ნიდერლანდების წინა ნეგატიურ გამოცდილებასთან ერთად, ხელი შეუწყო ჰოლანდიის მთავრობის ამჟამინდელ ძლიერ მხარდაჭერას უკრაინისადმი და რუსეთის მიმართ არსებულ მკაცრ პოზიციას. ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა მასშტაბურმა სანქციებმა კიდევ უფრო დაძაბა ნიდერლანდ - რუსეთის კავშირები ვაჭრობის შეფერხების საფუძველზე და ნიდერლანდებს უფრო მკაცრი მიდგომისკენ მიმავალი გზა გაუხსნა.

ცხრილი 1. კენჭისყრის შედეგები თითოეულ პარტიაში უკრაინასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

	უნდა მოხდეს თუ არა ევროკავშირ-უკრაინის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება? (2017)	უნდა გააფორმოს თუ არა ნიდერლანდებმა უკრაინასთან უსაფრთხოების 10-წლიანი ხელშეკრულება? (2024)
PVV	x	x
VVD	✓	✓
CDA	x	✓
D66	✓	✓
PvdA	✓	✓
SP	x	x
FvD	-	x
GL	✓	✓
PvdD	x	✓
CU	x	✓
SGP	x	✓

წყარო: *ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტი* (*https://www.tweedekamer.nl/kamerstukken/wetsvoorstellen/detail?cfg=wetsvoorsteldetails&qry=wetsvoorstel%3A34669#wetgevingsproces* & **https://www.tweedekamer.nl/kamerstukken/detail?id=2024Z04334&did=2024D10045**)

ქართულ-ნიდერლანდური ურთიერთობები: უსკრულის გადალახვა?

რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა ნიდერლანდები არა მხოლოდ უკრაინასთან დააახლოვა, არამედ ის უფრო მეტად ორიენტირდა აღმოსავლეთ ევროპაზე, რაც ხაზს უსვამს ევროკავშირის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. 2022 წელს, როდესაც საქართველომ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღები განახცადი გააკეთა, ნიდერლანდების მთავრობა კვლავ საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი საქართველოს ევროინტეგრაციული პროგრესის მიმართ, მაგრამ ამის მიუხედავად, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის უარის თქმას, როგორც ამას

აკეთებდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პირობების დაწესება ამჯობინა (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2022). მაგალითად, ნიდერლანდების მთავრობამ „შეშფოთების საგნად“ დაასახელა საქართველოს დაბალი თავსებადობა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან(CFSP) (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2023). მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის დეკემბერში, ნიდერლანდების მთავრობა ყოყმანობდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე, მან საბოლოოდ ამ იდეას მხარი გეოპოლიტიკური კონტექსტისა და კანდიდატის სტატუსის მინიჭების შედეგად შედარებით დაბალი გავლენის გათვალისწინებით დაუჭირა. საქართველომ, თავის მხრივ, გამოიყენა უკრაინის ომიდან წარმოქმნილი იმპულსი - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად შერთებოდა უკრაინასა და მოლდოვას (Zweers 2024). და მაინც, იმის გამო, რომ ეს იმპულსი უკვე მცირდება და ნიდერლანდების მთავრობა გაფართოების მიმართ კვლავ სკეპტიკურადაა განწყობილი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს ვერ მიაღწია.

ნიდერლანდები, ამჟამად, რიგით მეორე ინვესტორია საქართველოში დიდი ბრიტანეთის შემდეგ (საქსტატი z.d.-b). გარდა ამისა, ნიდერლანდებთან საქართველოს იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებული ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ საერთო ტენდენცია ორივესთვის აღმავალია (იხ. დიაგრამა #1) (საქსტატი z.d.-a & c). 2022 წელს ნიდერლანდებიდან იმპორტი საქართველოში ძირითადად ელექტრონიკის, სამედიცინო მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, ფარმაცევტული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისაგან შედგებოდა. საქართველოს ექსპორტი ნიდერლანდებში კი, ძირითადად შედგებოდა ქიმიკატების, მინერალებისა და ლითონებისგან (Observatory of Economic Complexity z.d.). უფრო მეტიც, როგორც ქვეყანა, რომელიც ცნობილია საზღვაო სფეროთიც, ნიდერლანდები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართულ საზღვაო ვაჭრობის სექტორშიც. ამას ყველაზე ნათლად ასახავს ის, რომ საქართველოს ფოთის საზღვაო პორტის უმეტესობა ჰოლანდიურ-დანიური კომპანია AMP-ის უკავია. უფრო მეტიც, ანაკლიაში დაგეგმილი პორტის მშენებლობაში სავარაუდოდ მონაწილეები სწორედ ნიდერლანდული კომპანიები არიან (Civil.ge 2024). საერთო ჯამში, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირები წლების განმავლობაში განმტკიცდა და არსებობს შემდგომი ზრდის შესაძლებლობაც, განსაკუთრებით ქართული მხრიდან. ნიდერლანდების ჩართულობა ძირითად ეკონომიკურ

სექტორებში ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას საქართველოსთვის. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება იშვიათად აღიარებს ამ ფაქტის მნიშვნელობას.

დიაგრამა 1. საქართველოს იმპორტი და ექსპორტი ნიდერლანდებიდან 1996-2022 წლებში.



წყარო: საქსტატი (https://www.geostat.ge/en)

რა თქმა უნდა, ნიდერლანდებსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროს ფარგლებსაც სცდება. ორივე ქვეყანა ფლობს მანდატს სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში. წევრობის (constituency) პროგრამა მიზნად ისახავს საჯარო დაფინანსების გაცემით ქვეყნების დახმარებას (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2020). გარდა ამისა, ნიდერლანდებმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ციფრულ უსაფრთხოებაში და სამოქალაქო ექსპერტები გამოგზავნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში (EUMM). 2020 წელს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია და დაადასტურა ნიდერლანდების მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი (ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2021). უფრო მეტიც, Matra-ს პროგრამის მეშვეობით, ნიდერლანდები მხარს უჭერს ქართული საზოგადოებას სხვადასხვა

ასპექტში, მათ შორის, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს. ეს თანამშრომლობა მიუხედავად მთავრობათაშორისი კონტაქტების შეზღუდული სახისა, ნიდერლანდების ჩართულობას ნათელი მაგალითია. მიზეზი, თუ რატომაა ნიდერლანდების ოსტპოლიტიკის განსაზღვრა რთულია, სავარაუდოდ ის არის, რომ ნიდერლანდებს არ გააჩნია ისტორიული და ხალხური კავშირები საქართველოსთან. კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის ნიდერლანდურ-ქართული ურთიერთობების განვითარებას არის საქართველოს ,,ფლირტი" ილიბერალიზმთან. მცირე მაგალითისთვის, შეგვიძლია შევხედოთ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარებს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის შესახებ, რომელსაც მან თავისი „ძვირფასი მეგობარი" უწოდა (საქართველოს მთავრობა 2023). ვიქტორ ორბანის მოკავშირედ არჩევა და საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო დროს მიღებული ე.წ. „კანონი უცხოური აგენტების შესახებ", რასაც მოჰყვა ანტიდასავლური რიტორიკა (ვინსენტი 2024) აჩენს კითხვებს, არის თუ არა შესაძლებელი შემდგომი დაახლოება ნიდერლანდებსა და საქართველოს დღევანდელ მთავრობას შორის. ეს ნათლად ჩანს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც გამოხატავს ანტიდასავლური განცხადებებისა და კანონის მიღებით გამოწვეულ უკმაყოფილებას (ნიდერლანდების საელჩო საქართველოში 2024).

უფრო მეტიც, ბოლო არჩევნებით ნიდერლანდების შიდა და საგარეო პოლიტიკის ბედი გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. ვილდერსის ულტრამემარჯვენე PVV-მ დიდი გამარჯვება მოიპოვა და საპარლამენტო ბალანსი მარჯვნივ გადაიხარა. როგორც *გასვლის მომხრე (Withdrawals)* პარტია, PVV მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის გაფართოებას და უკრანის მხარდამჭრ ბევრ ინიციატივას. არჩევნების შემდეგ ერთ-ერთ პირველ საპარლამენტო სესიაზე PVV-მ მხარი არ დაუჭირა მოლდოვასა და უკრაინასთან ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნას, ასევე საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი წევრი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის ამჟამინდელ ტრაექტორიასა და ნიდერლანდებში PVV-ის აღმავლობას, ნიდერლანდებსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები შეიძლება სერიოზული წარუმატებლობის საფრთხის ქვეშ დადგეს.

დასკვნა

ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის ცვლილებამ, უკრაინის ომთან ერთად, საქართველოს ნიდერლანდებისგან უფრო მეტი მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა მისცა ევროკავშირში

გაწევრიანების მცდელობის გზაზე. ნიდერლანდები ისევ ეჭვის თავლით უყურებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზადყოფნას, მაგრამ მის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის სასარგებლოდ მინიჭებული ხმა მეტყველებს იმაზე, რომ მას საბოლოოდ ქვეყნის ბლოკში ნახვა სურს. და მართლაც, თბილისში ნიდერლანდების საელჩოს ჩართულობით და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირებით, ისე როგორც აქამდე არასდროს, არსებობს მყარი საფუძველი იმისა, რომ შესაძლებელია ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს წინსვლა. ორივე ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები საფრთხის შემქმნელია - საუკეთესო შემთხვევაში - შეაჩერებს გაწევრიანების პროცესს და უარეს შემთხვევაში - მის შეწყვეტას გამოიწვევს. მართლაც, ნიდერლანდებში შიდაპოლიტიკაზე ორიენტირებული PVV-ის დაწინაურება და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება - დადგეს გზაზე, რომელიც დააშორებს მას არა მხოლოდ ნიდერლანდებისგან, არამედ შემდგომი ევროატლანტიკური ინტეგრაციისგან, საფრთხეს უქმნის ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას, აგრეთვე ცალ-ცალკე ორივე ქვეყნის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკურ მიზნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Abts, K., Étienne, T., Kutiyski, Y. & Krouwel, A. 2023. "EU-sentiment Predicts the 2016 Dutch Referendum Vote on the EU's Association With Ukraine Better Than Concerns About Russia or National Discontent." *European Union Politics* 24 (3): 494–515. https://doi.org/10.1177/14651165231157612.

Barigazzi, J. 2023. "Dutch PM Rutte Wants EU to Play It Frugal in Face of Mega US Subsidies." POLITICO, Retrieved from https://www.politico.eu/article/11etherlands-prime-minister-mark-rutte-europe-frugal-us-subsidies-loan-reform/.

Bosse, G. 2023. "Strict, Fair, Engaged… . And Still Without a Vision? A View from the Netherlands on EU Enlargement and Its Neighbourhood." In Enlargement and the Future of Europe, 115–19. https://doi.org/10.1007/978-3-031-43234-7_27.

Civil.ge. 2024. "International Tender for Anaklia Port Marine Infrastructure Announced." Civil Georgia, March 19, 2024. https://civil.ge/archives/587639.

Deen, B., Zweers, W. & van Loon, I. 2021. "The Eastern Partnership: Three Dilemmas in a Time of Troubles." Clingendael Institute, 2021. http://www.jstor.org/stable/resrep28668.1.

Embassy of the Netherlands in Georgia. 2024. "Statement by the Dutch Ministry of Foreign Affairs Regarding the Latest Developments in Georgia." Facebook. Retrieved from https://www.facebook.com/photo?fbid=839522324885774&set=a.295473909290621&locale=ka_GE.

Geostat. z.d.-a. "Exports by Country." Accessed May 7, 2024. https://geostat.ge/media/61745/Export-Country_1995-2024.xlsx

Geostat. z.d.-b. "Foreign Direct Investments." Accessed May 7, 2024. https://www.geostat.ge/en/modules/categories/191/foreign-direct-investments.

Geostat. z.d.-c. "Imports by Country." Accessed May 7, 2024. https://geostat.ge/media/61734/Import-Country-1995-2024.xlsx

Government of Georgia 2023 "Georgian Prime Minister Irakli Garibashvili's speech at the annual Conservative Political Action Conference (CPAC)." Government of Georgia. Retrieved from https://www.gov.ge/en/news/357446?page=&year=

IFW-Kiel. z.d. "Ukraine Support Tracker." Kiel Institute. Accessed May 7, 2024. https://www.ifw-kiel.de/topics/war-against-ukraine/11etherl-support-tracker/.

Janning, J. 2019. "Dutch Courage: Is the Netherlands Overconfident in Its EU Influence?" ECFR. Retrieved from https://ecfr.eu/article/commentary_dutch_courage_is_netherlands_overconfident_in_its_eu_influen/.

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2011. "Europese Raad – BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 21 501-20, Nr. 552. *Tweede Kamer*. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2011D39632.

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2013. "Europese Raad – BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 21 501-20, Nr. 819. *Tweede Kamer*. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2013D49281

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2015. "Europese Raad – BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 21 501-20, Nr. 982. *Tweede Kamer*. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2015D17363

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2017. "Europese Raad – BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 21 501-20, Nr. 1261. *Tweede Kamer*. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2017D31141

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2020. "Nieuwe Commissievoorstellen en initiatieven van de lidstaten van de Europese Unie – BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 22 112, Nr. 2869. *Tweede Kamer*. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2020D16029

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2021. "Europese Raad – BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 21 501-20, Nr. 1743. *Tweede Kamer*. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2021D41773

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2022. "Lidmaatschap van de Europese Unie - BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 23 987, Nr. 393. Tweede Kamer. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2022D26026

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2023. "Kabinetsappreciatie uitbreidingspakket 2023 en Groeiplan voor de Westelijke Balkan." 23 987, Nr. 395. Tweede Kamer. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2023D47781

MFA of the Kingdom of the Netherlands. 2024. "Situatie in Oekraïne - BRIEF VAN DE MINISTER VAN BUITENLANDSE ZAKEN." 36 045-20, Nr. 177. Tweede Kamer. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/downloads/document?id=2024D07623

Ministry of General Affairs of the Kingdom of the Netherlands. 2024. "NFRP-Matra: Subsidie Voor Versterken Rechtsstaat En Democratie in De Europese Regio." Europese Subsidies | Rijksoverheid.nl. Retrieved from https://www.rijksoverheid.nl/onderwerpen/europese-subsidies/nederlands-fonds-voor-regionale-partnerschappen-nfrp/nfrp-matra-subsidie.

Observatory of Economic Complexity. z.d. "Georgia and Netherlands Trade | the Observatory of Economic Complexity." OEC. Accessed May 7, 2024. https://oec.world/en/profile/bilateral-country/geo/partner/nld?redirect=true.

Ross, T., Haeck, P., Schaart, E. & Vela, J. H. 2023. "Geert Wilders Is the EU'S Worst Nightmare." POLITICO, Retrieved from https://www.politico.eu/article/geert-wilders-is-the-eus-worst-nightmare/.

Ter Haar, B. 2017. "Dutch Narratives About Russian-Western Relations." In *Security Narratives in Europe: A Wide Range of Views* 89–98. https://doi.org/10.5771/9783845287508-89.

Tweede Kamer der Staten-Generaal. 2017. "Regeling van de inwerkingtreding van de wet van 8 juli 2015, houdende goedkeuring van de op 27 juni 2014 te Brussel tot stand gekomen Associatieovereenkomst tussen de Europese Unie en de Europese Gemeenschap voor Atoomenergie en haar lidstaten, enerzijds, en Oekraïne, anderzijds (Stb. 2015, 315)" 34669, Nr. 2. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/kamerstukken/wetsvoorstellen/detail?cfg=wetsvoorsteldetails&qry=wetsvoorstel%3A34669#wetgevingsproces

Tweede Kamer der Staten-Generaal. 2024. "Europese Raad – MOTIE VAN HET LID PATERNOTTE C.S." 21 501-20, Nr. 2022. Retrieved from https://www.tweedekamer.nl/kamerstukken/detail?id=2024Z04334&did=2024D10045

Van der Togt, T. "Toch Weer Terug Naar 'Business as Usual'?: Nederlands-Russische Betrekkingen Na MH17." Atlantisch Perspectief 39, no. 5 (2015): 3–7. https://www.jstor.org/stable/48581243.

Vincent, F. 2024. "Georgians Face Repression After anti-Western Rhetoric From Authorities." Le Monde, May 2, 2024. https://www.lemonde.fr/en/international/article/2024/05/02/georgians-face-repression-after-anti-western-rhetoric-from-authorities_6670185_4.html.

Zweers, W. 2019. "'Strict – but Fair?': Dutch Approach to EU Enlargement." Balkan Insight. Retrieved from https://balkaninsight.com/2019/10/25/strict-but-fair-dutch-approach-to-eu-enlargement/.

ინტერვიუები:

ვაუტერ ზვიერსი - კლინგენდაელის ინსტიტუტის მკვლევარი ევროკავშირისა და გლობალური საკითხების განყოფილებაში. ონლაინ. 3 აპრილი 2024.

სამადლობელი:

პოლიტიკის მემორანდუმის საკვლევ თემასთან დაკავშირებით ღირებული ინფორმაციის მოწოდებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო შემდეგ ადამიანებს:

იელხერ ხუნიფელდი –ექსპერტი საქართველოს საკითხებში და Eastwatch.eu-ს დამფუძნებელი

ჯარონ კამფორსტი – რუსეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის კორესპონდენტი, ჰოლანდიური ყოველდღიური გაზეთი Trouw.

მაურის პაულუსენი – საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მისიის უფროსის მოადგილე.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

დ. მ. (დაან) ვან დალენ, „ჰააგიდან თბილისამდე: ევროკავშირის გაფართოების მიმართ ნიდერლანდების სამეფოს დამოკიდებულება საქართველოს კონტექსტში“ პოლიტიკის მემორანდუმი #74, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge